განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ეკონომიკა, სამაგისტრო (მეორე საფეხური)

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 12 ნოემბერი 2021

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი: 6 დეკემბერი, 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა (მეორე საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ეკონომიკის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ეკონომიკა 0311
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 249., 26.07.2012

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მურმან კვარაცხელია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ქარცივაძე, კომპანია ,,იმედი L" საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	მიხეილ ბიჭია, ივანე ჯავახიშვილის

[2] უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ქვეყანა)	სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოწვეული ლექტორი), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ტალიკაძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის მიზნით შესაფასებლად წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა ,,ეკონომიკა“ მოქმედებს აკრედიტაციის რეჟიმში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 26 ივლისის N249 გადაწყვეტილების საფუძველზე. ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის მართვა ხორციელდება ამავე უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეკონომიკის დეპარტამენტის მიერ.
სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი. 104 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო კურსებს, ხოლო 16 ECTS კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით კურსებს. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსების ნაწილში 10 ECTS კრედიტით წარმოდგენილია პროფესიული პრაქტიკა, ხოლო 20 ECTS კრედიტით - სამაგისტრო ნაშრომი.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამამ რამდენჯერმე განიცადა მოდიფიცირება მოქმედების პერიოდში. პროგრამის და მისი კომპონენტების სწავლის შედეგები გადამუშავდა ,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N 69/ნ. 2019 წლის 10 აპრილი) შესაბამისობაში მოსაყვანად; დაიხვეწა პროგრამის სტრუქტურა და დიზაინი; შემოღებულ იქნა 4 კრედიტიანი სასწავლო კურსები; კვლევითი კომპონენტის გასაძლიერებლად დაემატა სასწავლო კურსები: ,,სამეცნიერო წერა“ და ,,კვლევის მეთოდოლოგია ეკონომიკაში“. შემოღებულ იქნა ,,ეკონომეტრიკის“, ,,თამაშთა თეორიის“, ,,ეკონომიკური დიპოლომატიის“, ,,საჯარო ადმინისტრირების“, ,,ეკონომიკური ინტეგრაცია ევროპაში“ სასწავლო კურსები; გამრავალფეროვნდა არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალი და გაიზარდა მათი მოცულობა 16 ECTS კრედიტამდე. შემუშავდა სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სამიზნე ნიშნულები, ,,პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობისა“ და ,,კურიკულუმის“ რუკები და სხვა. გადამუშავებული პროგრამა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროცედურების დაცვით დამტკიცდა აკადემიური საბჭოს მიერ.
სწავლების ენა არის ქართული. პროგრამის ხანგრძლივობა 2 აკადემიური წელი. პროგრამას ბოლო 5 წლის განმავლობაში 56 ჩარიცხული სტუდენტი ჰყავს, რომელთაგან სტატუსშეჩერებულია - 11; 31 კი - კურსდამთავრებულია. 2020 წელს კურსდამთავრებულთა 92 % დასაქმდა, მათგან 78, 05 % კვალიფიკაციის მიხედვით. ბოლო 5 წლის განმავლობაში 1-მა კურსდამთავრებულმა გააგრძელა სწავლა დოქტორანტურის საფეხურზე.

პროგრამაში ჩართულია 14 აკადემიური პერსონალი, რომელთაგან 9 აფილირებულია. აღსანიშნავია, რომ პროგრამის გადამუშავების პროცესში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად ჩართულნი იყვნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. დამსაქმებელთა გამოკითხვა ჩატარდა საინიციატივო ჯგუფის ორგანიზებით. პროგრამამ გაიარა გარე ექსპერტიზა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა დისტანციური ფორმატით (Zoom პლატფორმის გამოყენებით), კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ა.წ. 11 და 12 ნოემბერს. ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები და დაგეგმა დისტანციური წინამოსამზადებელი შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია, შეაჯერეს კონკრეტული ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. დააზუსტეს იმ საკითხთა წრე, რომელიც განსაკუთრებულ ინტერეს სიწვევდა. შეთანხმდა სააკრედიტაციო ვიზიტის განრიგი. შემუშავდა შეკითხვების ჩამონათვალი. უნივერსიტეტს გაეგზავნა დამატებითი დოკუმენტების და მასალების წარმოდგენის თხოვნა, მათ შორის: სამაგისტრო ნაშრომები სხვადასხვა შეფასებით; პრაქტიკის დღიურები; შრომის ბაზრის კვლევა; ლიტერატურის შეძენის დოკუმენტები (ბოლო 1 წლის მონაცემები); დისტანციური სწავლების ადმინისტრირების წესი; სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენების და ერაზმუს + პროგრამაში სტუდენტთა მონაწილეობის სტატისტიკა; სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა (შერჩევით) და ა.შ. უსდ-მ ექსპერტებს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე.

დისტანციური შეფასება დაიწყო შეხვედრის განრიგით გათვალისწინებულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ჩატარდა დღის წესრიგით დადგენილი ყველა შეხვედრა. უსდ-მ შეძლებისდაგვარად უზრუნველყო ინტერვიუების გამართულად წარმართვა. ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა, გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შესაფასებლად წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, 1.1 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 1.2 - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 2.1 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 2.2 - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 2.3 - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 2.4 - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 2.5 - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 2.6 - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 3.1 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის

სტანდარტთან; 3.2 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 4.1 - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 4.2 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 4.3 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 4.4 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 5.1 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 5.2 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 5.3 - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

  - გადაიხედოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის რიგით მე-5 („**დაასახელოს** ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირების, შეფასების და გადაწყვეტის ეფექტიანი გზები“) და მე-9 შედეგი („**მუდმივად გაიღრმავოს** ცოდნა, **მოახდინოს** მისი ტრანსფორმირება პრაქტიკაში და, საჭიროების შემთხვევაში, **გადასცეს** სხვას“), ხოლო რიგით მე-7 შედეგი „ეკონომიკური ანალიზის პროცესში აკადემიური კეთილსინდისიერების და პროფესიული ეთიკის **დაცვის“ შესახებ** გადავიდეს „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის“ ნაწილში.
  - მიზანშეწონილია, რამდენიმე სასწავლო კურსს, როგორიცაა ,,ეკონომიკური პოლიტიკა 2“, ,,ეკონომეტრიკა“, ,,მაკროეკონომიკა (მაღალი დონე)“ განესაზღვროს წინაპირობები.
  - რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „სამეცნიერო წერა“ და „კვლევის მეთოდოლოგია ეკონომიკაში“ ურთიერთგადაფარვის პრობლემა აღმოიფხვრას;
  - რეკომენდებულია პროგრამული უზრუნველყოფის სწავლება, როგორებიცაა SPSS, Stata, Eviews, R და სხვა.
  - რიგ სილაბუსებში (ეკონომიკური პოლიტიკა 1, ეკონომიკური პოლიტიკა 2, სოციოლოგიური კვლევები და ა.შ) აისახოს უახლესი ადგილობრივი და უცხოური ლიტერატურა;
  - საჭიროა, ციფრული ცოდნის თვალსაზრისით სტუდენტებს შესთავაზონ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ინოვაციები და პროგრამული უზრუნველყოფის სწავლება.
  - უსდ-მ უზრუნველყოს საწარმოო პრაქტიკის ორგანიზებულად განხორციელება.
  - უსდ-მ უზრუნველყოს, რომ დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობასა და სტაჟირების ხანგრძლივობას.
  - მიზანშეწონილია, შეფასების ინსტრუმენტები ნათლად გაიმიჯნოს სწავლება-სწავლის მეთოდებისგან, ხოლო რამდენიმე საგნის სილაბუსში სწავლება-სწავლის მეთოდები გამრავალფეროვნდეს ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული მეთოდებით.რეკომენდებულია, რომ კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის შემოწმებასთან დაკავშირებული ჩანაწერები, ასევე, დაიხვეწოს მისი შეფასების მექანიზმები და კრიტერიუმები.
  - ეფექტიანი გახდეს პროგრამის ხელმძღვანელის უფლებამოსილებების განხორციელება.

- რეკომენდებულია, ყურადღება მიექცეს მონიტორინგის ღონისძიებების პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენებასა და არსებული ნაკლოვანებების, მათ შორის სამაგისტრო კვლევების ფარგლებში ხარისხის შეფასებას, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესისა და სილაბუსის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მექანიზმების დახვეწას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია, ლექტორების მიერ შემუშავებული სალექციო კურსების რეცენზირება განხორციელდეს მინიმუმ 2 დარგობრივი სპეციალისტის მიერ.
  - უსდ-მ შეიმუშავოს ეფექტიანი მექანიზმი, რითაც მოხდება სტუდენტების წახალისება სამეცნიერო-კვლევით კონფერენციებსა და აქტივობებში ჩასართავად.
  - სასურველია, ფაკულტეტებს მიეცეთ შესაძლებლობა, დააწესონ უფრო მაღალი ზღვარი თავიანთი პროგრამების ფარგლებში; კერძოდ, გაიზარდოს დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (17 ქულა);
  - სასურველია, დაიხვეწოს შეფასების სისტემა, კერძოდ, გამრავალფეროვნდეს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების კომპონენტები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მეტწილ პრაქტიკულ მხარესა და თეორიის პრაქტიკულ გამოყენებაზე;
  - გაუმჯობესდეს პერსონალის და სტუდენტების ინფორმირებულობა პროგრამაზე, რომელიც პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების შესაძლებლობას იძლევა.
  - სასურველია კურსდამთავრებულთა ქსელის აქტიური ამოქმედება შესაბამისი ღონისძიებების მოწყობით (მაგალითად, დამსაქმებელთა მოთხოვნების მიხედვით კურსდამთავრებულთა ფორტფოლიოების შექმნა);
  - პროგრამის ხელმძღვანელმა უფრო ეფექტიანად განახორციელოს თავისი უფლებამოსილებები.
  - შეიქმნას დარგის პოტენციურ დამსაქმებელთა ბაზა. შესაძლებელია, დაიგეგმოს შესაბამისი დამხმარე ღონისძიებებიც. გააქტიურდეს კარიერული სამსახური სტუნდენტთა კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმების მიზნით; კერძოდ, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება დარგის პოტენციურ დამსაქმებლებთან.
  - სასურველია, დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში აამოქმედოს დამატებითი სტიმულირების მექანიზმები, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებში.
  - სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს სტუდენტებში ცნობადობის ამაღლებას სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ, ასევე, სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებას მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული თანამედროვე ფორმატის მიხედვით (იგულისხმება სამეცნიერო სიახლის, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობების გამოკვეთა, მეცნიერული სტილის მკაცრი დაცვა, კვლევის მეთოდების და შედეგის და სხვა), სტუდენტთა ინფორმირებას პლაგიატისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესახებ პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში.

- სასურველია, გაიზარდოს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში სამაგიტრო თემის ხელმძღვანელთან ვიზიტის შეხვედრები 2-დან 4-მდე მაინც.
- კარგი იქნება, უნივერსიტეტმა გააგრძელოს პროფესორ-მასწავლებელთა მიერ პროფესიული განვითარების კურსებისა თუ ტრენინგების გავლის მიმართულებით მხარდაჭერა, ასევე, უზრუნველყოს მიღებული მონაცემების აქტიურ პრაქტიკაში ინტეგრირება.
- სასურველია, სწავლებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ხარჯვითი კომპონენტი რომ ყოფილიყო ასახული პროგრამის ბიუჯეტში.
- სასურველია გარე ექსპერტის რეკომენდაციების ეფექტიანად გამოყენება პროგრამის სრულყოფისთვის, ასევე, პროგრამის ხარისხის ამაღლებისთვის გარე შემფასებლების ანალოგი პროგრამების უცხოელი პროფესორების წინადადებებისა და რჩევების მიღება-გათვალისწინება.
- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს ელექტრონული სწავლების კონცეფცია და ადმინისტრირების წესი, შესაბამისი გზამკვლევები და ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის რეკომენდაციები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - მისასალმებელია საბიბლიოთეკო ფონდის გამოყენების მოქნილი და გამარტივებული პროცედურის არსებობა.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამამ **აკრედიტაცია გაიარა 2012 წელს და ამ პროცესში გამოითქვა რეკომენდაცია იმასთან დაკავშირებით, რომ „კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციის** ხელშეწყობის მიზნით, მომზადდეს რომელიმე სავალდებულო კურსი და წაკითხულ იქნეს უცხო ენაზე.“ ვინაიდან სწავლების პირველ, მეორე და მესამე სემესტრებში სტუდენტებს არჩევით კურსებად შეთავაზებული აქვთ სემესტრში 5 კრედიტის მოცულობით უცხო ენის სწავლება, ჩაითვალა, რომ მათთვის ერთი სასწავლო კურსის უცხო ენაზე ათვისება მიღწევადი იქნებოდა (იხ. საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 26 ივლისის ოქმი №8). ეს რეკომენდაცია გაითვალისწინა უნივერსიტეტმა და ამჟამად აკრედიტაციაზე **წარმოდგენილი ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ექვს ინგლისურენოვან სასწავლო კურსს, აქედან სამი კი არის ძირითად სასწავლო კურს**ი.

- **მოსაზრებები უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის შესახებ**

უნივერსიტეტიმა ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის დასკვნის პროექტში აღნიშნული რეკომენდაციების პასუხად წარმოადგინა მოსაზრებები უნივერსიტეტის

არგუმენტირებული პოზიციის შესახებ, საიდანაც ჩანს, რომ დაწესებულებამ რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი გაითვალისწინა. კერძოდ, 1.2, 2.2, 2.3, 2.4, 2.5, და 2.6 რეკომენდაციები.

5.1 რეკომენდაციით უსდ-ს მოეთხოვენდა უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის (დანართი 4-EP-QA 1.1) ჩანაწერების შესაბამისობაში მოყვანა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან. დაწესებულების საპასუხო წერილში მოთითებული იყო, რომ აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენისას დაფიქსირდა შეცდომა. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა დაწესებულების თვალსაზრისი, გადაამოწმა დოკუმენტი მითითებულ ბმულზე და შესაბამისად, მოხსნა რეკომენდაცია.

ამასთან, წარმოდგენილ თვალსაზრისებში არ ჩანს დაწესებულების თვალსაზრისები პროგრამული უზრუნველყოფის სწავლებასთან და პროგრამის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ქმედითუნარიან განხორციელებასთან დაკავშირებით, რაც ქესპერტთან ჯგუფს მიაჩნია საყურადღებო რეკომენდაციებად.

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შესაფასებლად წარმოდგენილი ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის მიზნები გადამუშავდა მისი მოქმედების პერიოდში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა მოთხოვნების კვლევის შედეგების, ეკონომიკის სფეროში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით. პროგრამა ცვლილებებით დამტკიცდა აკადემიური საბჭოს სხდომაზე (დადგენილება N46(20/21) 21 ივლისი, 2021 წელი). ,,ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე, მოამზადოს მიკრო/მაკრო- და რეგიონულ დონეზე ეკონომიკური საქმიანობის ეფექტური წარმართვის უნარების მქონე სპეციალისტები, რომლებსაც შეეძლებათ ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირება, შეფასება და გადაწყვეტის ეფექტიანი გზების შერჩევა“. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. მასში ასახულია ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელიც ექნება კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის მიზნები ემსახურება იმ ცოდნისა და უნარების შეძენას, რომელიც ეკონომიკის სფეროში ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებს უზრუნველყოფს ახალი და ორიგინალური გზების მოძიების და კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის გზით, რასაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამა შეესაბამება ზოგადად უსდ-ის მისიას, რომელიც ,,ეფუძნება რა ფაზისისა და გელათის აკადემიების ტრადიციებს, „უნივერსიტეტების დიდი ქარტიის“ პრინციპებსა და უმაღლესი განათლების ეროვნულ და ევროპულ სტანდარტებს, ისწრაფვის უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები. უნივერსიტეტი აცნობიერებს საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას და მიზნად ისახავს, თავისი საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში. ამ მიზნით იგი უზრუნველყოფს მთელი ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განათლების პროგრამებისა და სერვისების მიწოდებას, ახალი ცოდნის შექმნა-გავრცელებასა და სხვადასხვა დაინტერესებულ პირთან ერთად ჩართულია

საზოგადოებრივი პოლიტიკის ფორმირების პროცესში “. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების კომპონენტს, რისთვისაც აქცენტი კეთდება საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებაზე, პროგრამების ინტერნაციონალიზაციაზე, უცხოელი სტუდენტებისა და პროფესორების რაოდენობის ზრდაზე, უცხოელი სტუდენტებისათვის სერვისების გაძლერებაზე, უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირების ინტენსიფიკაციაზე და ა.შ. ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი ასახულია ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარებისს გეგმაში და პროგრამაში, რაც მოიცავს ინგლისურ ენაზე 6 სასწავლო კურსის სწავლებას, სტუდენტების და პერსონალის საერთაშორისო თანამშრომლობას და ა.შ. თვითშეფასების ჯგუფის ფარგლებში ჩატარდა დამსაქმებელთა გამოკითხვა, რის საფუძველზეც განისაზღვრა დამსაქმებლების მხრიდან შემოთავაზებული მოთხოვნები, როგორებიცაა სხვადასხვა დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაფართოება; დარგობრივი უცხო ენის შემოღება, პრაქტიკული კომპონენტების გაძლერება და ა.შ., რაც აისახა პროგრამაში. ასევე, ცალკე გამოიკითხა 9 დამსაქმებელი და 276 კურსდამთავრებული, ხოლო შემდეგომ რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 60 რესპოდენტი. მიღებული პასუხები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შრომისა და განათლების ბაზარზე მიმდინარე ძირითადი ტენდენციების აღსაქმელად. პროგრამის ხელმძღვანელის, აფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, მათი თვალსაზრისების გათვალისწინებით, გადამუშავდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, მათი მიღწევის სწავლისა და სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსების ჩამონათვალი და სილაბუსების შინაარსი. პროგრამის შედეგები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. შესაფასებლად წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანამანთლებლო პროგრამა; ○ უსდ-ის მისია და სტრატეგია; ○ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ○ უსდ-ის ვებგვერდი: https://atsu.edu.ge/ ; ○ ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ○ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით: პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

(1) **ახსნას** წარმოქმნილი ეკონომიკური პრობლემების მიზეზები და გავლენის შედეგები;

(2) **შეარჩიოს** ეკონომიკურ განვითარებაზე მოქმედი საფრთხეების იდენტიფიცირების, შეფასების და რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების მეთოდები;

(3) **განსაზღვროს** მიკრო/მაკრო- და რეგიონულ დონეზე, ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი მიმართულებები;

(4) **შეიმუშაოს**, მიკრო/მაკრო- და რეგიონულ დონეზე, ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი მიმართულები;

(5) **დაასახელოს** ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირების, შეფასების და გადაწყვეტის ეფექტიანი გზები;

(6) სიღმისეული ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე, **მოახდინოს** მოვლენების/პროცესების პროგნოზირება და **გამოიტანოს** განვითარების სტრატეგიაზე შესაბამისი დასკვნები;

(7) ეკონომიკური ანალიზის პროცესში, **დაიცვას** აკადემიური კეთილსინდისიერების და პროფესიული ეთიკის ნორმები;

(8) არგუმენტირებული დასკვნების საფუძველზე, **ჩამოაყალიბოს** კვლევის შედეგებიდა **დაიცვას** საკუთარი პოზიციები დაინტერესებულ მხარეებთან;

(9) **მუდმივად გაიღრმავოს** ცოდნა, **მოახდინოს** მისი ტრანსფორმირება პრაქტიკაში და,

საჭიროების შემთხვევაში, **გადასცეს** სხვას.

წარმოდგენილი შედეგებიდან ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ გადამუშავებას მოითხოვს რიგით მე-5 სწავლის შედეგი, რადგან ის არა უნარი, არამედ ცოდნის, როგორც შედეგის, ამსახველია. ამასთან, მაგისტრატურის საფეხურის შედეგების აღწერისთვის მიზანშეწონილია ,,დასახელების" ნაცვლად, ვისარგებლოთ ისეთი ზმნებით, როგორებიცაა ,,შეარჩიოს", ,,დააკავშიროს", ,,განიხილოს", ,,განსაზღვროს" და ა.შ. ამასთან, პროგრამით გათვალისწინებულ რიგით მე-9 შედეგთან დაკავშირებით, რომელიც ავტონომიურობის და პასუხისმგებლობის ნაწილშია, ვერ მოიძებნა პროგრამის ის კომპონენტი, რომელიც შედეგის ბოლო ნაწილს - ,, საჭიროების შემთხვევაში, **გადასცეს** სხვას" უზრუნველყოფს. ამიტომ დგინდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებიდან რიგით მე-5 და მე-9 შედეგების გადამუშავების აუცილებლობა. ამასთან, რიგით მე-7 შედეგი - ეკონომიკური ანალიზის პროცესში, **დაიცვას** აკადემიური კეთილსინდისიერების და პროფესიული ეთიკის ნორმები - არის პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის ნაწილში გადასაჯგუფებელი.
პროგრამის დარჩენილი შედეგები მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ,,ეკონომიკის მაგისტრი" თანხვედრაშია, შეესაბამება პროგრამის მიზნებს და კვალიფიკაციათა ჩარჩოს მაგისტრატურის საფეხურის დონეს.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა დაადასტურეს დაინტერესებულმა მხარეებმა: ადმინისტრაციამ, აკადემიურმა პერსონალმა, მოწვეულმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა. დაწესებულების წარმომადგენლების მიერ მათთვის გაცნობილი იქნა სწავლის შედეგები.

პროგრამის შედეგები მეტწილად შესაბამისობაშია კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროების მოთხოვნებთან, სადაც საქმიანობის სფეროსთვის დამახასიათებელი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარები მოითხოვება რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადასაჭრელად. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შედეგების განსაზღვრისთვის უნივერსიტეტმა დამსაქმებელთა გამოკითხვა ჩაატარა და ისე მოახდინა შედეგების მოდიფიკაცია.

საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილია პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის კავშირის, ასევე, პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურსებთან კავშირის რუკა.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება რეგულირდება ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმით. ამ დოკუმენტის მიხედვით განისაზღვრება სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგენილია სამიზნე ნიშნული და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ასევე, ამ სამიზნე ნიშნულების შეფასების მეთოდები. პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვა მოხდება აკადემიურ წელიწადში ერთხელ, ხოლო პროგრამის თითოეული კომპონენტის შედეგის გაზომვა მოხდება კურიკულუმის რუკის მიხედვით, სემესტრის ბოლოს; პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა და მონიტორინგი მოხდება ორწლიან დინამიკაში. თუ პროგრამის დასრულების შემდეგ სწავლის შედეგების შეფასების დონე სამიზნე

ნიშნულებთან თანხვედრაშია არ იქნება, საჭიროების შემთხვევაში მოხდება პროგრამის მიზნების/ შინაარსის/სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მოდიფიცირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა;
- პროგრამის ხელმძღვანელსა და პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი.

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის რიგით მე-5 („**დაასახელოს** ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირების, შეფასების და გადაწყვეტის ეფექტიანი გზები“) და მე-9 შედეგი („**მუდმივად გაიღრმავოს** ცოდნა, **მოახდინოს** მისი ტრანსფორმირება პრაქტიკაში და, საჭიროების შემთხვევაში, **გადასცეს** სხვას“), ხოლო რიგით მე-7 შედეგი „ეკონომიკური ანალიზის პროცესში აკადემიური კეთილსინდისიერების და პროფესიული ეთიკის **დაცვის“ შესახებ** გადავიდეს „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის“ ნაწილში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი **ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაზე აპლიკანტის დაშვების წინაპირობაა:** – ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; – საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება; – შიდასაუნივერსიტო გამოცდის წარმატებით ჩაბარება; **შიდა საუნივერსიტეტო გამოცდაში შედის:** – გამოცდა სპეციალობაში, რომელიც ტარდება წერითი ფორმით. გამოცდის ჩატარება და შეფასების კრიტერიუმები რეგულირდება აწსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესით; საგამოცდო საკითხები ყოველი წლის მიღებისათვის წინასწარ მტკიცდება დეპარტამენტის სხდომაზე) ○ უცხო ენის ფლობის დონის დასადგენი ტესტირება;აპლიკანტებს უნდა ჰქონდეთ უცხო (ინგლისური) ენის ცოდნა B2 დონეზე, რომელიც შემოწმდება ტესტირების საშუალებით. აპლიკანტი გათავისუფლდება ტესტირებისგან, თუ წარმოადგენს

საერთაშორისოდ აღიარებულ სერთიფიკატს, რომელიც დაადასტურებს უცხო (ინგლისური) ენის ცოდნას B2 დონეზე (TOEFL Paper, TOEFL CBT, TOEFL IBT, IELTS, FCE, CERTUS).

ინტერნაციონალიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, უნდა გაძლიერდეს მაგისტრატურის სტუდენტების წვდომა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე, რაც მოითხოვს უცხო ენის B დონის ცოდნას. ეს მოთხოვნა დამსაქმებლების მხრიდანაც აქტუალურია.

პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა და გარე მობილობის წესით.

მიუხედავად იმის, რომ პროგრამა ღიაა სხვა სპეციალობის სტუდენტებისთვის, წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და შესაძლებელს ხდის დაძლეული იქნას პროგრამის კომპონენტები. წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. მისი გაცნობა შესაძლებელია პროგრამების კატალოგში, უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის No10/ნ ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.atsu.edu.ge;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამა შედგენილია მოქმედი სტანდარტების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებას მისი განვითარების არსებული მეთოდოლოგიის გამოყენებით. საკითხის შესწავლამ ექსპერტთა ჯგუფს უჩვენა, რომ პროგრამის შინაარსი, მისი მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების სამაგისტრო საფეხურს. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის მიზანი და შედეგები შესაბამისობაშია მთლიანად სწავლის მიზანსა და შედეგებთან. სამაგისტრო პროგრამაში სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა სრულად შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო საათების რაოდენობა სწორადაა განაწილებული და შესაბამისობაშია სწავლის შინაარსსა და შედეგებთან. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსები კურიკულუმში სემესტრულად არის წარმოდგენილი, მიზანშეწონილია, გარკვეულ ნაწილს, როგორებიცაა ,,ეკონომიკური პოლიტიკა 2“, ,,ეკონომეტრიკა“, ,,მაკროეკონომიკა (მაღალი დონე)“ განესაზღვროს წინაპირობები. ამასთან, გასაძლიერებელია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის სწავლება. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურაში წარმოდგენილია საგნის ხელმძღვანელის მიერ შედგენილი ახალი წიგნები (სალექციო კურსები) ბეჭდური ფორმითაა. თუმცა, რთულია იმის განსაზღვრა, რამდენად სრულად პასუხობს ის თანამედროვე მოთხოვნებს. სასურველია, ასეთი სალექციო კურსების რეცენზირება განხორციელდეს მინიმუმ 2 დარგობრივი სპეციალისტის მიერ. სამაგისტრო პროგრამაში დაწესებულება უზრუნველყოფს თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ კურიკულუმი; ○ სასწავლო გეგმა; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://atsu.edu.ge/; ○ აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის N49(17/18) დადგენილება „ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის შესახებ“.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, რამდენიმე სასწავლო კურსს, როგორიცაა ,,ეკონომიკური პოლიტიკა 2“, ,,ეკონომეტრიკა“, ,,მაკროეკონომიკა (მაღალი დონე)“ განესაზღვროს წინაპირობები.
- რეკომენდებულია პროგრამული უზრუნველყოფის სწავლება, როგორებიცაა SPSS, Stata, Eviews, R და სხვა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ლექტორების მიერ შემუშავებული სალექციო კურსების რეცენზირება განხორციელდეს მინიმუმ 2 დარგობრივი სპეციალისტის მიერ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი ამ სასაწავლო კურსის სწავლის შედეგებს, ხოლო მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა - კურსის სწავლის შედეგებს, გარდა სასწავლო კურსისა ,,საქართველოს ეკონომიკის ევოლუციის ანალიზი“, რომელიც არ არის აგებული რომელიმე კონკრეტული მეთოდის

გამოყენებით. სასურველია, კონტექსტის გადამუშავება. სასწავლო კურსის შედეგების გათვალისწინებით.

ცალკეული სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდები სრულ შესაბამისობაშია აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურთან, კურსის შინაარსთან და სწავლების შედეგებთან. აქ გამოკითხვებმა დაადასტურეს, რომ სწავლის ეს მეთოდები მოქნილია და პასუხობენ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. ამისთვის არსებობს ინდივიდუალური პროგრამებიც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო **კურსის „თამაშთა თეორიის“ სილაბუსით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა ვერ** მოიძებნა, კერძოდ, სილაბუსში მითითებული უცხოენოვანი ნაშრომის ბმულზე გადასვლისას გაცილებით ძველი (1991 წლის) ნაშრომი იძებნება, თუმცა ბიბლიოთეკაში უფრო ახალი მოიძებნა ბეჭდური ფორმით. რაც შეეხება ამ საგნის ქართულენოვან ნაშრომს, ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მასზე ავტორი მუშაობს, მაგრამ ფაქტია, რომ სილაბუსში არ უნდა ეწეროს, როგორც გამოქვეყნებული. საბოლოო ჯამში, არის ამ სასწავლო დისციპლინაში ქართულ ენაზე სავალდებულო ლიტერატურის ან დამხმარე მასალის (ე.წ. „რიდერის“) შექმნის საჭიროება.

დგინდება სასწავლო კურსის **„სამეცნიერო წერა“ და საგნის „კვლევის მეთოდოლოგია ეკონომიკაში“ ურთიერთგადაფარვის გასწორების საჭიროება.** როგორც ინტერვიუს დროს დაზუსტდა, „სამეცნიერო წერა“ უფრო ზოგადი ხასიათისაა; ეს დისციპლინა აკადემიური სტანდარტებისა და სხვა მასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება, ხოლო საგანი „კვლევის მეთოდოლოგია“ უნდა მოიაზრებდეს კონკრეტული სფეროს სპეციფიკას. მიუხედავად ამისა, ამ საგნების სილაბუსებში მაინც რჩება ამ ორი სასწავლო კურსის ურთიერთგადაფარვის აღმოფხვრის პრობლემა, კერძოდ:

- საგნის „კვლევის მეთოდოლოგია ეკონომიკაში“ მე-4 კვირა ეძღვნება „ლიტერატურის მიმოხილვასა და კრიტიკულ კითხვას“, „სამეცნიერო წერის“ მე-4 კვირა - „კრიტიკულად აზროვნებასა და კითხვას“;
- „კვლევის მეთოდოლოგია ეკონომიკაში“ მე-9 კვირა ეთმობა რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს, ხოლო „სამეცნიერო წერაში“ მე-3 კვირისთვის გათვალისწინებულია „კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები“;
- სასწავლო დისციპლინის „კვლევის მეთოდოლოგია ეკონომიკაში“ მე-7 კვირას განსახილველ თემად შემოთავაზებულია „პირველადი მონაცემების შეგროვება კითხვარების გამოყენებით“, ხოლო საგნის „სამეცნიერო წერა“ მე-3 კვირის სალექციო საკითხია „ინფორმაციის შეკრება, მასალის დაჯგუფება, პირველადი და მეორეული წყაროები“. ასევე, „სამეცნიერო წერის“ მე-11 კვირისთვის დადგენილია ასახსნელი თემა „გამოკითხვის მეთოდი“.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ დამსაქმებლებთან ინტერვიუმ არ გამოკვეთა კურსდამთავრებულებისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნის მიმართულების გაძლიერების საჭიროება, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია სხვადასხვა სასწავლო კურსების სწავლების პროცესში, კერძოდ, ეკონომეტრიკის და სტატისტიკის მიმართულებით, პრაქტიკული ნაწილის სწავლებისას გამოყენებული იყოს ისეთი პროგრამები, როგორებიცაა SPSS, STATA ან სხვა.

პროგრამა უზრუნველყოფილია თანამედროვე საბიბლიოთეკო რესურსით მისი მიზნებიდან გამომდინარე. თუმცა, რიგ სასწავლო კურსებში (ეკონომიკური პოლიტიკა 1, ეკონომიკური პოლიტიკა 2, სოციოლოგიური კვლევები და ა.შ) სავალდებულო

ლიტერატურაში მითითებულია ძველი გამოცემები. საჭიროა მათი ჩანაცვლება ახალი გამოცემის სახელმძღვანელოებით. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა პროგრამის შემუშავებაში ჩართო ყველა მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი). უზრუნველყოფილია პროგრამის ინფორმაციის საჯაროობა და დაინტერესებულ პირთა ხელმისაწვდომობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის N49(17/18) დადგენილება „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის შესახებ“;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა: https://library.atsu.edu.ge/ ;
- საბიბლიოთეკო რესურსები;
- ხელშეკრულება პარტნიორ უნივერსიტეტთან;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „სამეცნიერო წერა“ და „კვლევის მეთოდოლოგია ეკონომიკაში“ ურთიერთგადაფარვის პრობლემა აღმოიფხვრას;
- რიგ სილაბუსებში (ეკონომიკური პოლიტიკა 1, ეკონომიკური პოლიტიკა 2, სოციოლოგიური კვლევები და ა.შ) აისახოს უახლესი ადგილობრივი და უცხოური ლიტერატურა;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის მიხედვით პრაქტიკის კომპონენტი გათვალისწინებულია პროგრამის ძირითად ბადეში 10 კრედიტიანი საგნით „პროფესიული პრაქტიკა“. როგორც სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოირკვა, სტუდენტების გარკვეული ნაწილი დასაქმებულია არაპროფილურად, კერძო სექტორში, ბიზნესის ადმინისტრირების, კლიენტებთან ურთიერთობის ან გაყიდვების მიმართულებით. აქედან გამომდინარე, მათ უნივერსიტეტი ავალდებულებს, ეკონომიკური პროფილის ორგანიზაციებში და სახელმწიფო სექტორის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში გაიარონ პროფესიული პრაქტიკა და მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩაეთვლებათ მათ საგნის გავლა. კერძო სექტორში, არაპროფილური მიმართულებით დასაქმებულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ზოგჯერ სახელმწიფო დაწესებულებებში არაორგანიზებულად ხდება პრაქტიკის განხორციელება, ზოგიერთ შემთხვევაში კი პრაქტიკის განმახორციელებლის მხრიდან არ ხდება სათანადო ყურადღების დათმობა პრაქტიკანტებისადმი. ასევე, ზოგიერთი პრაქტიკანტი რადგან არის არაპროფილურად დასაქმებული, სათანადო დროს ვერ უთმობს მუნიციპალურ სამსახურებში ეკონომიკის მიმართულებით საწარმოო პრაქტიკაში ჩაბმას. ინტერვიუს დროს სტუდენტების მხრიდან აღინიშნა, რომ ზოგჯერ მხოლოდ მათთვის ხელსაყრელ დროს ხდებოდა პრაქტიკის ობიექტზე მისვლა და არ აქვს პროფესიულ პრაქტიკას ორგანიზებული ხასიათი. აღსანიშნავია, რომ რადგან სტუდენტების უმრავლესობა არაპროფილურად არის დასაქმებული, შესაბამისად, მათ უწევთ არსებულ საქმიანობასთან შეთავსებით პრაქტიკის გავლა ეკონომიკური ანალიზის პროფილის სახელმწიფო ან კერძო სტრუქტურაში. ეს ყოველივე კი ართულებს სტუდენტების მხრიდან პროფესიული პრაქტიკისთვის სათანდო ყურადღების დათმობას. აღსანიშნავია, რომ უსდ ხარისხის მართვის სამსახურთან გასაუბრების დროს, მათ ვერ წარმოადგინეს პროფესიული პრაქტიკის განხორციელების დროს მონიტორინგის კონკრეტული საშუალებები და თავიანთი კონკრეტული ხედვა, თუ როგორ ახორციელებენ პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგს. ამასთან, უნივერსიტეტს მემორანდუმები აქვს გაფორმებული სხვადასხვა კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებთან, მათ შორის რეგიონულ მუნიციპალიტეტებთან. მემორანდუმების შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ეს შეთანხმებები არის ზოგადი და მასში არ არის გათვალისწინებული პრაქტიკანტების რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ეს საკითხები დაზუსტდება პრაქტიკის

განხორციელების ეტაპზე. სტუდენტებთან შეხვედრის დროს აღინიშნა, რომ მათ უნივერსიტეტი სთავაზობს სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას ან უსდ თვითონ უწევს ორგანიზებას მსგავსი ტიპის ღონისძიებებს სხვადასხვა პარტნიორი უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. თუმცა სტუდენტებს ფაქტიურად არ აქვთ ინტერესი მსგავსი აქტივობების მიმართ, არ გამოირჩევიან ამ აქტივობებში მონაწილეობის ინტერესითა და სურვილით. ინტერვიუში მონაწილე 8 სტუდენტიდან მხოლოდ 1 იყო სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართული. მათ აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი ელფოსტაზე აწვდით მათ შესაბამის ინფორმაციას, მაგრამ აქტივობებში ჩასართვად დრო არ აქვთ, რადგან უმეტესობა მათგანი დასაქმებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა; ○ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები დარგის ორგანიზაციებთან; ○ სტუდენტების სამეცნიერო და სოციალური აქტივობები; ○ პროფესიული პრაქტიკის სილაბუსი; ○ გამოკითხვის შედეგები; ○ კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები; ○ დაწესებულების წარმომადგენლებსა და სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ უსდ-მ უზრუნველყოს საწარმოო პრაქტიკის ორგანიზებულად განხორციელება. ○ უსდ-მ უზრუნველყოს, რომ დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობასა და სტაჟირების ხანგრძლივობას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ უსდ-მ შეიმუშავოს ეფექტიანი მექანიზმი, რითაც მოხდება სტუდენტების წახალისება სამეცნიერო-კვლევით კონფერენციებსა და აქტივობებში ჩასართავად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღწერა და შეფასება პროგრამაში აღწერილი სასწავლო კურსის მეთოდები შესაბამისობაშია აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურთან. ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები თუ აქტივობები არის მრავალფეროვანი და ითვალისწინებს სასწავლო კურსების სპეციფიკას, როგორიცაა: ლექცია, სემინარი, ინდივიდუალური მუშაობა, ჯგუფური მუშაობა, დისკუსია-დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის/სიტუაციის ანალიზი, როლური თამაში, გონებრივი იერიში, დემონსტრირება, სიმულაციები. თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის ფორმატი სხვადასხვაა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე. ისინი შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფენ მათ მიღწევას. სასწავლო კურსებში სწავლა-სწავლების მეთოდები და აქტივობები მოქნილობით ხასიათდება, პროგრამის ფარგლებში საჭიროების შემთხვევაში მოქმედებს ე.წ. ინდივიდუალური პროგრამა, რომლის მიხედვითაც სწავლება-სწავლის მეთოდების/აქტივობების ადაპტირება ხდება სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნების თუ საჭიროებების გათვალისწინებით. თითოეული სასწავლო კურსის სწავლა-სწავლების მეთოდები მეტწილად შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს. თუმცა, ერთ-ერთი სასწავლო კურსის („სოციალური ეკონომიკა“) **ცალკეა გამოყოფილი სტუდენტის აქტივობის ფორმა „როლური თამაში“**, თუმცა როლური თამაში განიხილება სწავლა-სწავლების მეთოდად და არა შეფასების მეთოდად. ამასთან, იგრძნობა რამდენიმე **საგნის („თანამედროვე ეკონომიკური თეორიები“, „რეგიონული მმართველობა და დეცენტრალიზაცია“, „ეკონომიკური პოლიტიკა 2“, „რისკები და ეკონომიკური უსაფრთხოება“ და სხვა) სწავლების** მეთოდთა გამრავალფეროვნებისა და ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული მეთოდების (გონებრივი იერიში, დედუქცია-ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, სოკრატესეული, შემთხვევის ანალიზი და სხვა) გამოყენების საჭიროება, მით უმეტეს, მაგისტრატურის საფეხურზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა;

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმე;
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები;
- პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, შეფასების ინსტრუმენტები ნათლად გაიმიჯნოს სწავლება-სწავლის მეთოდებისგან, ხოლო რამდენიმე საგნის სილაბუსში სწავლება-სწავლის მეთოდები გამრავალფეროვნდეს ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული მეთოდებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღწერა და შეფასება

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტის შეფასებისას ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება № 3 2007.05.01) განსაზღვრული

შეფასების სისტემით. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა. შეფასებების ფორმები მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. შუალედური შეფასებები ფასდება 60 ქულით, მათ შორის, შუალედური გამოცდა არა ნაკლებ 30 ქულისა, ხოლო დასკვნითი გამოცდა - 40 ქულით. დასკვნით გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასებების გათვალისწინებით უგროვდება 24 ქულა. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები, ძირითადად, ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ყველა სასწავლო კურსის შემთხვევა არის 17 ქულა. სასწავლო კომპონენტი დაძლეულია საერთო ჯამში 51 ქულის მიღების შემთხვევაში. ყველა სილაბუსში ასახულია დასკვნით გამოცდაზე დაშვების და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ასევე, ეს უკანასკნელი განსაზღვრულია უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების მოქმედი სისტემით. ამ კუთხით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სასწავლო კურსებში ყველაზე ხშირად გამოყენებული შუალედური შეფასების კომპონენტებია (გარდა შუალედური გამოცდისა): დისკუსია-დებატები, ქვიზები, რეფერატის მომზადება და მისი პრეზენტაცია. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებ-თან გასაუბრების დროს ისინი დადებითად აფასებენ მოქმედ შეფასების სისტემასა და მის შემადგენელ კრიტერიუმებს. ზოგადად, სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ სასურველი იქნებოდა როგორც შუალედურ შეფასებებში, ისე გამოცდების შეფასებებში პრაქტიკული ელემენტის იმპლემენტაცია. მაგალითად, Case study-ს ტიპის დავალებების შესრულება, კონკრეტული პროგრამული ამოცანების ამოხსნა და ა.შ. ამგვარი ტიპის დავალებები მიმართული იქნებოდა მთელი სასწავლო კურსის მიმდინარეობისას თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების დემონსტრირებისკენ და შემდეგ მის შემოწმებას უზრუნველყოფდა პრაქტიკულად.

უნივერსიტეტში დანერგილია სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა, ელექტრონილი დეკანატი (იხ. ლინკი: http://edean.atsu.edu.ge/dekanati/). სასწავლო კურსებზე რეგისტრაციისას სტუდენტებს შესაძლებლობა, აქვთ თავიდანვე გაეცნონ სილაბუსებს და კურსის დაწყებისთანავე იცოდნენ შეფასების ძირითადი კომპონენტები. კურსის მიმდინარეობის მანძილზე თითოეულ სტუდენტს საშუალება აქვს, თავისი მიმდინარე შეფასებებს ელექტრონული მართვის სისტემიდან ადევნოს თვალი და დროული რეაგირება ჰქონდეს მიღწეულ შედეგებზე. სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით არსებობს ლექტორსა და სტუდენტს შორის იოლი კომუნიკაციის შესაძლებლობა. ამდენად, შეფასების ფორმები და კომპონენტები არის გამჭვირვალე და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. აღსანიშნავია, რომ ონლაინ სწავლებისთვის აქტიურად გამოიყენება moodle-ის სისტემა (იხ. ბმული: http://moodle.atsu.edu.ge/), სადაც უზრუნველყოფილია ელექტორნული სასწავლო მასალების განთავსება.

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულება. ამ უკანასკნელის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია მოცემულია

სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესში. ამ უკანასკნელში ჩვენ ვკითხულობთ, რომ შეფასება ხდება კომისიის მიერ ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, საბოლოო შეფასება დასტურდება შესაბამისი ოქმის გაფორმებით. ხოლო შეფასებისთვის გამოყენებული კრიტერიუმები მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში. სამაგისტრო ნაშრომს კომისია აფასებს 100 ქულით შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

1. ჩატარებული კვლევის ხარისხი - 10 ქულა;
2. პრობლემის აქტუალობა - 10 ქულა;
3. არსებითი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნის უნარის დემონსტრირება - 10 ქულა;
4. დასკვნები და შედეგები - 10 ქულა;
5. სიახლის დასაბუთების უნარი - 10 ქულა;
6. ნაშრომის გაფორმების სტანდარტების დაცვა - 10 ქულა;
7. ინფორმაციის სამართლებრივად და ეთიკურად გამოყენება - 10 ქულა;
8. კვლევის შედეგების პრეზენტაციის უნარი - 10 ქულა;
9. საკუთარი იდეებისა და პოზიციის დაცვის უნარი - 10 ქულა;
10. დასმულ კითხვებზე და რეკომენდაციებზე პასუხი - 10 ქულა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით გათვალისწინებულ შეფასების წარმოდგენილ კრიტერიუმებში ვხვდებით ურთიერთგადაფარვებს:

- პირველ რიგში, ფასდება **კვლევის ხარისხი,** რომელშიც, სილაბუსის მიხედვით, შედის იმის დასაბუთება, **რომ პრობლემა აქტუალურია, დამუშავებულია რელევანტური წყაროებით** და სხვა;
- შემდეგ შეფასების კრიტერიუმად განსაზღვრულია **თემის აქტუალობა,** რომელიც მოიცავს **იმის დასაბუთებას, რომ მაგისტრანტი პრობლემას მკაფიოდ და ლოგიკურად** აყალიბებს და ა.შ. ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, ალბათ, აქ უნდა ჩანდეს მაგისტრანტის დასაბუთება იმაზე, რამდენად აქტუალურია ეს თემა, რა დატვირთვა აქვს პრაქტიკული თვალსაზრისით და სხვა;
- ცალკე ფასდება სამაგისტრო ნაშრომის **„დასკვნები და შედეგები“. აქ** ყურადღება ექცევა **ახალი გზების მოძიებას, რთული ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზს, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებას,** დასკვნის ლოგიკურობას;
- ნაშრომის შეფასების დამოუკიდებელ კრიტერიუმად **განისაზღვრება „სიახლის დასაბუთების უნარი“**, რომლის ფარგლებშიც ფასდება, რომ მაგისტრანტი **ასაბუთებს სიახლეს ლოგიკურად და სხვა.** ეს შეფასების ზედა კრიტერიუმშია. ჩანს, რომ შეფასების კრიტერიუმებში მე-4 და მე-5 კრიტერიუმები შეიძლება გაერთიანდეს;
- შეფასების მე-6 კრიტერიუმად **მითითებულია „ნაშრომის გაფორმების სტანდარ-ტების დაცვა“. ამ ნაწილში მოწმდება** აკადემიურ დონეზე ნაშრომის შესრულება, კვლევის სიღრმე, ნაშრომის გაფორმების წესების ზედმიწევნით დაცვა;
- შეფასების მე-7 კრიტერიუმია **„ინფორმაციის სამართლებრივად და ეთიკურად გამოყენება“**, რომელშიც შედის „სტატისტიკური ინფორმაციის სამართლებრივ **ჩარჩოებში გამოყენება, სხვისი ნაშრომების ამონარიდებისა და ციტატების სქოლიოში კეთილსინდისიერად მითითება** და სხვა. თუმცა, ეს კომპონენტები, თავის მხრივ, სხვა არაფერია, თუ არა აკადემიური სტანდარტების დაცვა, ეს კი უკვე სამაგისტრო ნაშრომის მე-6 კრიტერიუმში იყო გათვალისწინებული.

დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებიდან ირკვევა რომ ყველა

შესრულებული სამაგისტრო ნაშრომი გადის შემოწმებას პლაგიატის ამომცნობ პროგრამაში (Turnitin), თუმცა ამის შესახებ თავად სტუდენტები კარგად არ არიან ინფორმირებულები. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამოვლინდა, დასაზუსტებელია პლაგიატის დონის დასაშვებობის პროცენტის განსაზღვრასა და პლაგიატის კატეგორიებად (20%-მდე, 20%-დან 40-%-მდე და 40%-დან ზევით) დაყოფასთან დაკავშირებული საკითხები:

ა. პირველ რიგში, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში **შესაცვლელია ტერმინი „პლაგიატი“, ალბათ, „მსგავსებით“.** ამასთან, აუცილებელია აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხზე ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდა;

ბ. გარდა ამისა, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესით ჯერ განსაზღვრულია პლაგიატის ცნება, რომელზეც აგებულია პლაგიატის კატეგორიების შესახებ ჩანაწერები. აქვე გათვალისწინებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომში **პლაგიატის დონე არ უნდა აღემატებოდეს 20%-ს. შემდეგ გვხვდება ჩანაწერები, რომლებიდანაც ჩანს, რომ 20-დან 40%-მდე** პლაგიატიც დასაშვებია, მაგრამ მაგისტრანტს აქვს უფლება, გადამუშავებული სამაგისტრო <u>ნაშრომი მომდევნო სემესტრში</u> წარმოადგინოს, ხოლო 40-ზე მეტი პროცენტის დაფიქსირებისას მაგისტრანტს შეუძლია ერთი წლის შემდეგ გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა (6.3-ის მე-6 და მე-7 პუნქტები). ანალოგიური ჩანაწერი გვხვდება სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის მე-7 მუხლში. „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-19 პუნქტის მიხედვით, თუ მაგისტრანტი მიიღებს მაგისტრატურის პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით ან ამ მუხლის მე-17 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასებას, მას არ აქვს იმავე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლება. როცა ნაშრომში პლაგიატია, ეს პროცენტული ოდენობით ვერ იქნება განსაზღვრული და იწერება ნული.

„უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-19 პუნქტის თანახმად, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისთვის დადგენილია **უარყოფითი შეფასების ორი სახე:**

ა. თუ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი შეფასდა **41-დან 50-მდე ქულით (FX),** მაგისტრანტს უფლება ეძლევა, გადამუშავებული კვლევითი **პროექტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში**;

ბ. თუ მაგისტრანტმა **მიიღო 40 ან ნაკლები ქულა (F),** მაგისტრანტი **კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის** უფლებას.

შესაბამისად, თუ დადგინდა პლაგიატის არსებობა სამაგისტრო ნაშრომში და დაიწერა „0“, დაუშვებელია, რომ <u>მაგისტრანტმა მომდევნო სემესტრში (ან თუნდაც ერთი წლის შემდეგ) წარადგინოს გადამუშავებული სამაგისტრო</u> ნაშრომი. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანებით დადგენილ ამ მოთხოვნას უნდა შეესაბამებოდეს როგორც „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი“, ისე სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი.

„სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესში“ მითითებულია, რომ რეცენზენტის უარყოფითი დასკვნის დროს სამაგისტრო ნაშრომს აფასებს მეორე რეცენზენტი, რომლის დადებითი შეფასების არსებობისას მაგისტრანტი დაიშვება სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე. ალბათ, კარგი იქნება, **მესამე რეცენზენტი ჩაებას ამ**

პროცესში, რათა ორმა დადებითმა რეცენზიამ გადაწონოს ერთი უარყოფითი რეცენზია, **ან რაიმე სხვა მექანიზმი ამოქმედდეს**. ამასთან, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის ერთ-ერთ ნაწილში **(„სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები“)** ასახულია, რომ საჯარო განხილვის დაშვების წინაპირობაა მეოთხე სემესტრის განმავლობაში შესასრულებელი სამუშაო, **მათ შორის ხელმძღვანელისა და რეცენზენტის დადებითი დასკვნები, არადა** მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი საგანგებოდ ეძღვნება სამაგისტრო ნაშრომის საჯარო განხილვაზე დაშვებას, თუმცა აქ ხელმძღვანელისა და რეცენზენტის დადებით დასკვნებზე ჩანაწერი არ გვხვდება. „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესის“ მე-6 მუხლის მე-4 პუნქტიც სპეციალურად ეხება სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობებს, რომლებშიც არ ჩანს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და რეცენზენტის დადებითი დასკვნების აუცილებლობა კვლევის საჯარო დაცვაზე დასაშვებად. მიზანშეწონილია, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში ნათლად ჩანდეს სამაგისტრო ნაშრომის საჯარო განხილვაზე დაშვების წინაპირობები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის №5 (17/18) დადგენილება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესი“;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი, იხ. ბმული: https://atsu.edu.ge/ ;
- Moodle, იხ. ბმული: http://moodle.atsu.edu.ge/
- ელექტრონული დეკანატი, იხ. ბმული: http://edean.atsu.edu.ge/dekanati/
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის შემოწმებასთან დაკავშირებული ჩანაწერები, ასევე, დაიხვეწოს მისი შეფასების მექანიზმები და კრიტერიუმები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, ფაკულტეტებს მიეცეთ შესაძლებლობა, დააწესონ უფრო მაღალი ზღვარი თავიანთი პროგრამების ფარგლებში; კერძოდ, გაიზარდოს დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (17 ქულა);
- სასურველია, დაიხვეწოს შეფასების სისტემა, კერძოდ, გამრავალფეროვნდეს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების კომპონენტები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მეტწილ პრაქტიკულ მხარესა და თეორიის

პრაქტიკულ გამოყენებაზე; ○ გაუმჯობესდეს სტუდენტების ინფორმირებულობა პროგრამაზე, რომელიც პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების შესაძლებლობას იძლევა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების

გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტების ინფორმირებულობას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების საკითხებზე ძირითადად უზრუნველყოფს ფაკულტეტის ადმინისტრაცია სხვადასხვა ხერხის გამოყენებით. მაგ., აუცილებელი ინფორმაცია (სასწავლო გეგმა, სასწავლო ბარათი, მიმდინარე შეფასებები, პედაგოგების ცხრილი და სხვა) სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში, ე.წ. ელექტრონულ დეკანატში მათ პირად გვერდზე (იხ. ბმული http://edean.atsu.edu.ge/dekanati/). საგანამანთლებლო დაწესებულებაში სტუდენტების მოთხოვნილებაზე მორგებული სერვისების ერთ-ერთი მიმწოდებელი სტრუქტურა არის სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური. მათი ძირითადი მიზანი არის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კონსულტირება და მხარდაჭერა. აწსუ-ს სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური საქმიანობს შემდეგი მიმართულებებით: • სტუდენტთა განცხადებების მიღება; • კარიერული განვითარების ხელშეწყობა; • ომბუდსმენი; • ფსიქოთერაპევტი; • ტუტორი; • აწსუ-ს კურსდამთავრებულთა ქსელი. სტუდენტს სასურველი სერვისის ან/და ინფორმაციის მისაღებად შეუძლია, მიმართოს სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურს. თუმცა, როგორც სტუდენტებთან, ისე კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ მათ არ უსარგებლიათ მოცემული სამსახურის სერვისებით, თუმცა იღებენ მათგან ინფორმაციას. კურსდამთვრებულებთან გასაუბრებისას გამოირკვა, რომ ისინი დასაქმებულები არიან, ძირითადად, ბიზნესის (და არა უშუალოდ ეკონომიკის) მიმართულებით. ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რადგან მოცემული სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს, ასევე, პროფესიულ პრაქტიკას, რომელმაც წესით უნდა უზრუნველყოს მათი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში იმპლემენტაცია და სტუდენტების დაახლოება მათ პოტენციურ დამსაქმებლებთან უშუალოდ დარგის შესაბამისად, საჭიროა უფრო მეტად გააქტიურდეს კარიერული განვითარების ხელშეწყობა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული დასაქმებული იყოს მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად. ინტერვიუებით დასტურდება თვითშეფასებაში აღნიშნული ინფორმაცია კურსდამთავრებულთა ქსელის შესახებ. კურსდამთავრებულებს აქვთ შესაბამის ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ და იციან, რა სარგებელი შეიძლება მიეღოთ მისგან. ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში ფიქსირდება ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია: საკონტაქტო ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ექსპერტებთან საუბრისას დაადასტურეს, რომ მათი დატვირთვა ითვალისწინებს სტუდენტთა კონსულტაციების საათებსაც. აღსანიშნავია, სტუდენტები ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით ადასტურებენ, რომ ისინი

ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისგან იღებენ მათთვის აუცილებელ კონსულტაციებს და საჭირო ინფორმაციას. ამასთან, მათ შორის კომუნიკაცია მეტწილად ხორციელდება ელექტრონული ფოსტის ან სოციალური ქსელის დახმარებით. ამასთან, მიმდინარე პერიოდში პანდემიასთან დაკავშირებული ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, სტუდენტებს შეუძლიათ, ლექტორთან შეთანხმებით ნებისმიერ დროს მიიღონ შესაბამისი ონლაინ კონსულტაცია.

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, დარგობრივი სემინარები, რომლებშიც სტუდენტებს აქვთ საშუალება, მიიღონ მონაწილეობა. ინფორმაციას ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, გაცვლითი პროგრამებისა და სხვათა შესახებ სტუდენტები იღებენ უნივერსიტეტის ვებგვერდიდან და ფაკულტეტის წარმომადგენლებისგან. ზოგადად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებელი 2020 წელს შემცირებულია წინა წელთან შედარებით. სტუდენტებთან და კურდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს მცირე (1-2) ნაწილმა დაადასტურა ზემოთ აღნიშნულ კონფერენციებში მონაწილების მიღებაც, თუმცა იგივე აქტივობა სტუდენტების მხრიდან არ ფიქსირდება გაცვლითი პროგრამების მიმართ. სტუდენტთა ინტერვიუირების დროს, მათ აღნიშნეს, რომ ეს მათი პირადი არჩევანია. ექსპერთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი სტუდენტთა Erasmus+ სტატისტიკის თანახმად ძალიან მცირეა მათ შორის ეკონომიკის მიმართულების სტუდენტთა რიცხვი.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა სახის გამოკითვის შედეგები სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მონწილეობით. ინტერვიუს შედეგების საფუძველზე ამ უკანასკნელთა მხრიდან დადასტურებულია აღნიშნული. ხშირ შემთხვევაში გათვალისწინებულია მათი შეხედულებები და რეკომენდაციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 27 თებერვლის №58 (17/18) დადგენილება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ სერვისებთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ელექტრონული დეკანატი, იხ. ბმული: http://edean.atsu.edu.ge/dekanati/;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი, იხ. ბმული: https://atsu.edu.ge/ ;
- კურსდამთავრებულთა ქსელი, იხ. ბმული: https://alumni.atsu.edu.ge/login/ ;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ყოველწლიური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, დარგობრივი სემინარები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია კურსდამთავრებულთა ქსელის აქტიური ამოქმედება შესაბამისი ღონისძიებების მოწყობით (მაგალითად, დამსაქმებელთა მოთხოვნების მიხედვით კურსდამთავრებულთა ფორტფოლიოების შექმნა);
- შეიქმნას დარგის პოტენციურ დამსაქმებელთა ბაზა. შესაძლებელია, დაიგეგმოს შესაბამისი დამხმარე ღონისძიებებიც. გააქტიურდეს კარიერული სამსახური სტუნდენტთა კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმების მიზნით; კერძოდ, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება დარგის პოტენციურ დამსაქმებლებთან.
- სასურველია დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში აამოქმედოს დამატებითი სტიმულირების მექანიზმები, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი), ემერიტუს-პროფესორი, დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პირი (მოწვევის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით). სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელ(ებ)ის, თემის და რეცენზენტების დამტკიცებას ახდენს ფაკულტეტის საბჭო და უნივერსიტეტის რექტორი. სამაგისტრო ნაშრომს შესაძლებელია ჰყავდეს თანახელმძღვანელიც (კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე). ერთმა პირმა ერთდროულად შეიძლება უხელმძღვანელოს მაქსიმუმ 5 მაგისტრანტს.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციაა, დაეხმაროს მაგისტრანტს თემის შერჩევაში, არქიტექტონიკის (თემის მოკლე გეგმის) შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში. ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი, გამოთქვას შენიშვნები და დაეხმაროს მაგისტრანტს კვლევის სწორად წარმართვაში, გაეცნოს პროსპექტუსს და დაადასტუროს რომ მაგისტრანტს სწორი გეგმა აქვს შემუშავებული სამაგისტრო თემაზე მუშაობის გასაგრძელებლად. ხელმძღვანელი ნაშრომის დასრულების შემდეგ ამზადებს დასკვნას. სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში აღნიშნულია, რომ ვიზიტები ხელმძღვანელთან კონსულტაციებისთვის ხორციელდება დამამთავრებელი სასწავლო სემესტრის VI-XV კვირას. თუმცა, მაგისტრანტებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში ისინი ნებისმიერ დროს იღებენ კონსულტაციას ხელმძღვანელის მხრიდან. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების თანაფარდობა არის 8/11-თან, ანუ 0,(72).

უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, მომზადებისა და დაცვის პროცედურები, ხელმძღვანელობის პროცესი გაწერილია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესში. მოცემულ დოკუმენტში მოცემულია შემდეგი სახის ინფორმაცია:

- სამაგისტრო ნაშრომის მიზანი;
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი;
- სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევა;
- სამაგისტრო ნაშრომის სტრუქურა;
- ტექსტის დაკაბადონების წესი;
- სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და დაცვა;
- კომისია;
- სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებილ
- სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გასაჩივრება;
- კვლევის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის პრინციპი;
- საავტორო უფლებები.

სამაგისტრო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა ხდება თავად სტუდენტების მიერ, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ შეთავაზებული თემის სავარაუდო დასახელებებიდან, ან საკუთარი სურვილისამებრ, პოტენციურ სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით. ახლადჩარიცხული მაგისტრანტებისათვის ხელმძღვანელისა და თემის შერჩევის გაადვილების მიზნით, დეპარტამენტის უფროსი ორგანიზებას უკეთებს მაგისტრანტებისა და სავარაუდო ხელმძღვანელების შეხვედრას. ხელმძღვანელის გამოყოფის დროს ხდება პერსონალის კვალიფიკაციის და საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების გათვალისწინება. პროგრამის ხელმძღვანელი სამაგისტრო თემის დასახელებას, მაგისტრანტის და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ვინაობას წარუდგენს დეპარტამენტის ხელმძღვანელს. თითოეული მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის სათაური და ხელმძღვანელი მტკიცდება ჯერ დეპარტამენტის და შემდეგ ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, რის შესახებაც მზადდება ოქმი.

სამაგისტრო თემის ხელმძღვანელები არიან კვალიფიციური სპეციალისტები, რაც დასტურდება პერსონალის CV-ებით, მათ მიერ გამოქვეყნებული ნაშრომებით და

კონფერენციებში მონაწილეობით. ამასთან, მაგისტრანტების ხელმძღვანელებთან გასაუბრების დროს ისინი აღნიშნავდნენ, რომ მაგისტრანტებს კონსულტირებას უწევენ კვლევით პროცესში სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, კურსდამთავრებულებიც თავის მხრივ გასაუბრების დროს ადასტურებენ, რომ ნაშრომის წერის პროცესი ორივე მხარის კონსტრუქციული თანამშრომლობით მიმდინარეობდა, ხელმძღვანელები გარკვეული ინტენსივობით ხვდებიან მაგისტრანტებს და აძლევენ უკუკავშირს და კონსულტაციას. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ სამაგისტრო ნაშრომების გადახედვის დროს, ზოგიერთ შემთხვევაში, დადგინდა შესაბამისი უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენების სიმცირე. ამასთან. ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ ზოგიერთი სამაგისტრო ნაშრომის თემა ძალიან ფართოა და ნაშრომში კვლევები არ არის წარმოდგენილი. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ დაწესებულებას აქვს პლაგიატის ამომცნობი სისტემა (Turnitin), რომელიც გამოიყენება ნაშრომების შემოწმებისას. დისტანციური ვიზიტის დროს არ მოგვეცა შესაძლებლობა, ახლოდან გავცნობოდით მის მუშაობას. სტუდენტებთან გასაუბრებისას კი გამოიკვეთა, იმის საჭიროება, რომ ისინი უფრო უკეთ ფლობდნენ შესაბამის ინფორმაციას აკადემიური კეთილსინდისიერების, მისი დაცვის არსებული მექანიზმების შესახებ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი; ○ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ○ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციები; ○ დაცული სამაგისტრო ნაშრომები; ○ პლაგიატის ამომცნობი სისტემა (Turnitin); ○ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები; ○ აკადემიურ პერსონალსა და სამაგისტრო თემის ხელმძღვანელებთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს სტუდენტებში ცნობადობის ამაღლებას სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ, ასევე, სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებას მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული თანამედროვე ფორმატის მიხედვით (იგულისხმება სამეცნიერო სიახლის, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობების გამოკვეთა, მეცნიერული სტილის მკაცრი დაცვა, კვლევის მეთოდების და შედეგის და სხვა), სტუდენტთა ინფორმირებას პლაგიატისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესახებ პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში. ○ სასურველია, გაიზარდოს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში სამაგისტრო თემის ხელმძღვანელთან ვიზიტის შეხვედრები 2-დან 4-მდე მაინც.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედებს **აკადემიური პერსონალის მიღების წესი, რომელიც შეიცავს ზოგად რეგულაციებს აკადემიური/სამეცნიერო, მოწვეული** პერსონალის კვალიფიკაციის დადასტურების თაობაზე. ამასთან, აკადემიურ საბჭოს დამტკიცებული აქვს დადგენილება აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლისა და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვები. რაც შეეხება **პრაქტიკოსების მოწვევას,** აღნიშნულს საფუძვლად უდევს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ რექტორის სახელზე შედგენილი სამსახურებრივი ბარათი და კანდიდატის მიერ საჩვენებელი მეცადინეობის ჩატარება. მათი შრომის ანაზღაურება განისაზღვრება საათობრივი პრინციპით.

ასევე, ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან ეკონომიკის, **სოციალური მეცნიერებების, მათემატიკისა და ფილოლოგიის დეპარტა-მენტებისა და ენების შემსწავლელი ცენტრის აკადემიური და მოწვეული პერსონალი.** ჩანს, რომ ისინი არიან თავიანთი საქმის სპეციალისტები, რომელთა კვალიფიკაცია და ცოდნა უზრუნველყოფს პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას.

ამ **სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა სულ შეადგენს 17-ს.** აქედან 14-ს უკავია აკადემიური თანამდებობა, კერძოდ, 14-დან ასეა გადანაწილებული აკადემიური თანამდებობები:

- *3 პროფესორი;*
- *11 ასოცირებული პროფესორი.*

უნივერსიტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სულ **აფილირებულია 3 პროფესორი და 6 ასოცირებული** პროფესორი. აფილირებული **აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხულ რაოდენობასთან დაკავშირებით ასე გამ**ოიყურება: 9/11-ზე; ხოლო ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების თანაფარდობა ასეთია: 8/11-ზე.

რაც შეეხება მოწვეულ **მასწავლებელთა რაოდენობას, პროგრამაში ჩართულია სულ 3 მოწვეული** სპეციალისტი. შესაბამისად, თუ შევუდარებთ აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალთა რაოდენობას მოწვეული სპეციალისტების რაოდენობას, დგინდება, რომ აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან არის 11/3-ზე. პროგრამას მთლიანობაში ახორციელებს კვალიფიციური პერსონალი, რომელთა კვალიფიკაცია დასტურდება პროფესიული გამოცდილებით და/ან ბოლო წლების კვლევებით.ამდენად, საბოლოო ჯამში, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი დაცულია.

საყურადღებოა, რომ პროგრამას ხელმძღვანელობს აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელსაც აქვს პროგრამის **შემუშავებისთვის აუცილებელი როგორც ცოდნა, ისე გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციაა: ჩართული იყოს** პროგრამის

შემუშავებასა და განხორციელებაში; ასევე, კურირებდეს პროგრამის მონიტორინგისა და დახვეწის პროცესებს, იყოს პასუხისმგებელი აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობაზე. ამასთან, პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს პროგრამის შიდა და გარე შეფასების პროცესებში. სწორედ პროგრამის დახვეწისთვის მას შეუძლია, გაეცნოს აკრედიტაციის შედეგებს, გააანალიზოს, შეაფასოს და რეაგირება მოახდინოს არსებულ ხარვეზებზე. ამ მიზნით პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციაა, ითანამშრომლოს პროგრამის კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებთან, მიიღოს მათგან უკუკავშირი და შეეცადოს, მათი რეკომენდაციები გაითვალისწინოს. თუმცა ინტერვიუს დროს რამდენიმე კითხვაზე პასუხი ვერ მივიღეთ და გამოიკვეთა, რომ დასახელებული უფლებამოსილე-ბების უფრო ეფექტიანად გამოყენების საჭიროებაა. **უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა,** რომელიც ადგენს პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. სასწავლო პროცესის ხელშეწყობისა და პროგრამის განვითარებისთვის პროგრამის ხელმძღვანელი თანამშრომლობს ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და, მასთან ერთად, ახორციელებს შემდეგ აქტივობებს:

- *კარიერის დღე, რომლის მიზანია სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა. ასევე, იმართება შემეცნებითი ვიზიტები. გარდა ამისა, დამსაქმებლები სხვადასხვა თემაზე მასტერკლასს ატარებენ დამსაქმებლის დღის ფარგლებშიც;*
- *არსებული ვაკანსიების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის;*
- *სტუდენტთა შემეცნებითი პროექტების დაგეგმვა;*
- *მონიტორინგი სააუდიტორიო მუშაობაზე, მათი შეფასება და ანალიზის შედეგად, ეკონომიკის დეპარტამენტთან ერთად, ხდება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება და სხვა.*

ეკონომიკის **სამაგისტრო პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და მართვის სხვა სამსახურები:** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის, ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის, სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების, ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურები და სხვა.

ამასთან, ფაკულტეტის **ადმინისტრაციის მხრიდან პროგრამის უშუალოდ განხორციელებას და მონიტორინგს უზრუნველყოფს დეკანი,** ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ეკონომიკის დეპარტამენტისა და პროგრამის ხელმძღვანელები. მათი ფუნქციები განსაზღვრულია ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებით.

როგორც დოკუმენტაციიდან **ირკვევა, პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილეობს დამხმარე პერსონალი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია. მათი ფუნქციები გათვალ**ისწინებულია თანამდებობრივი აღმწერებით და პირდაპირ ასახავს პროგრამის განხორციელების ხელშეწყობას. როგორც ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ კლასსა და სტუდენტურ სერვისებში, ისე დეკანატში მომუშავე სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი მიმართული არიან სწავლის შედეგების უზრუნველყოფა-გაუმჯობესებისკენ.

წარმოდგენილი მასალიდან **გამომდინარე, აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი 0-ია. ამდენად, აშ**კარაა ამ მიმართულებით სტაბილური სამუშაო გარემო.

შესაბამისად, წარმოდგენილი გარემოებები, **ასევე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი ადასტურებს, რომ პროგრამა მდგრადია.** აქედან გამომდინარე, **პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს** პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და საქმიანობის წესი; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი ინფორმაცია (CV); ○ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები/ ფაკულტეტის თანამდებობრივი ინსტრუქციები; ○ საკვალიფიკაციო მოთხოვნები; ○ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული მოთხოვნები“ (დანართი 2-EP-QA1.1); ○ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 28 თებერვლის N173 დადგენილება „პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ“; ○ უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია; ○ 2019 წლის 10 ივლისის აკადემიური საბჭოს №65 (18/19) დადგენილება „აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვების შესახებ“; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ფუნქციები და ხელშეკრულების ნიმუშები; ○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; ○ პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ ეფექტიანი გახდეს პროგრამის ხელმძღვანელის უფლებამოსილებების განხორციელება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემა. პერსონალის შეფასების სისტემა ეფუძნება, ერთი მხრივ, **პერსონალის სასწავლო საქმიანობის შეფასებას, მეორე მხრივ, აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლების სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის შეფასებას.**

საქმე ისაა, რომ **აკადემიური პერსონალის სასწავლო-მეთოდურის მუშაობის შემოწმებაში ჩართულია ფაკულტეტის დეკანატი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი,** სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რექტორის მოადგილე. პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო აქტივობები წლიური ანგარიშის აღრიცხვის ფარგლებში საწყის ეტაპზე მოწმდება დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ. პროფესორ-მასწავლებელთა მხრიდან მათთვის გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ანგარიში განიხილება დეპარტამენტის სხდომებზე, დეკანის მიერ და მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოზე. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პრობლემების იდენტიფიცირებას ახდენს, კონკურსებისა და სტუდენტთა შეფასების საფუძველზე კი ატარებს კონკურსებს. ამასთან, ლექტორების შეფასება ხდება ურთიერთდასწრებისა და სტუდენტთა გამოკითხვის გზით.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- ✓ *წლიური დატვირთვების შესრულებას;*
- ✓ *კოლეგიალური ურთიერთდასწრების პოლიტიკას;*
- ✓ *სტუდენტთა გამოკითხვებს.*

ამასთან, სტუდენტური **გამოკითხვები ხდება ყოველსემესტრულად. აკადემიური პერსონალის მიერ წარმართულ სასწავლო კ**ურსზე ანალიზდება სტუდენტთაგან მიღებული უკუკავშირი გამოკითხვების სახით. შედეგებს აწვდიან პროგრამის ხელმძღვანელს,

დეპარტამენტებს და უშუალოდ პერსონალს.

აქვე საყურადღებოა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს **კოლეგიალური ურთიერთდასწრების მექანიზმი**, რომელიც იძლევა ძლიერი და სუსტი მხარეების თაობაზე შეფასებების გაკეთების შესაძლებლობას. ურთიერთდასწრებისა და მუშაობის პოლიტიკა მიმართულია აკადემიური პერსონალის ხელშეწყობა სწავლება/სწავლის პროცესის შესახებ იდეებისა და გამოცდილების გაზიარებისკენ. კოლეგიალური ურთიერთდასწრება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულყოფას, არსებული პროგრამების განახლება-გაუმჯობესებასა და სასწავლო გარემოს მუდმივ განვითარებას.

ცალკე აღნიშვნის ღირსია **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ დაკვირვება** საუდიტორიო მუშაობაზე. ამ ტიპის პერიოდულ დაკვირვების მიზანია (პროგრამის ხელმძღვანელ(- ებ)თან ერთად) საერთო პრობლემებისა და კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება. ეს, თავის მხრივ, სასწავლო პროცესის გაუმჯობესების ხელშეწყობას გულისხმობს.

გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს **უცხოელი პროფესორების მიერ საჯარო ლექციების ჩატარების საინტერესო გამოცდილება.** ამ თვალსაზრისით საყურადღებოა რუმინეთის იოან კუზასა და ჩეხეთის რესპუბლიკის ქ. ზლინის თომას ბატას პროფესორთა საჯარო ლექციები. ცალკე აღნიშვნის ღირსია 2018-2019 წლებში ჩატარებული მასტერკლასები და შემეცნებითი ტურები.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს **აკადემიური პერსონალის აფილირების წესი,** რომელიც უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 22 ნოემბრის N133 დადგენილებით არის დამტკიცებული. ამ წესიდან გამომდინარეობს, რომ აფილირება არის უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკისა და პერსონალის მართვის შემადგენელი ნაწილი. ამ წესის მიზანია, შექმნას შიდასაუნივერსიტეტო კონკურენტული აკადემიური გარემო, გაზარდოს აკადემიური პერსონალის მოტივაცია და აქტივობა. ამასთან, ამავე დადგენილებით გათვალისწინებულია აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ უნივერსიტეტის სახელით გამოსაცემად მომზადებული სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომის (მეთოდური მასალის, სახელმძღვანელოს, სტატიის), საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისას შესაბამისი ხარჯების სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსება, აფილირებული პირის მიმართ წახალისების მექანიზმების (ერთჯერადი ფულადი ჯილდო, პრემია, ხელფასის დანამატი) გამოყენება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგენისას და სხვა. მართალია, როგორც ინტერვიუდან დადგინდა, ჯერჯერობით ამ პროგრამის აკადემიურ პერსონალს არ უსარგებლია ისეთი წახალისების მექანიზმით, როგორიცაა ფულადი ჯილდო, მაგრამ წარდგენილია პროფესორ-მასწავლებელთა სია და იგრძნობა ამ ღონისძიების გამოყენების მზაობაც. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი მონაწილეობს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. ამასთან, რამდენიმე პროფესორ-მასწავლებელს აქვს შიდა თუ საერთაშორისო საგრანტო პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება. მათი ბოლო წლების კვლევები, პროფესიული გამოცდილება და კომპეტენცია ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ამასთან, წარმოდგენილი **დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მთლიანობაში** მონაწილეობს პროფესიულ ტრენინგებში, სემინარებსა და სამეცნიერო ღონისძიებებში. მათი კვლევები ასახულია როგორც ეროვნულ,

ისე უცხოურ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში.
აქვე უმნიშვნელოვანესია პროფესორ-მასწავლებელთა ჩართულობა პროფესიული განვითარების ღონისძიებებში. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს გათვალისწინებით, ორ შემთხვევაში აუცილებელია პროფესიული განვითარების კურსებსა და ტრენინგებზე აქცენტების გაკეთება, მით უფრო, როცა ზოგიერთ შემთხვევაში 2000 წლის შემდეგ დგინდება პროფესიული კურსების თუ ტრენინგების გავლის არარსებობა. ამასთან, მართალია, პროფესორ-მასწავლებელთა უმეტესობას გავლილი აქვს ასეთი კურსები, მაგრამ კარგი იქნება, მეტი ყურადღება მიექცეს სწავლების თანამედროვე მეთოდების, შეფასების სისტემისა და კრიტერიუმების, ასევე, დისტანციური სწავლების ხერხების აქტიურ პრაქტიკაში გამოყენებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://atsu.edu.ge/ .
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმე;
- აფილირების წესი;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა;
- პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- პერსონალის ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- კარგი იქნება, უნივერსიტეტმა გააგრძელოს პროფესორ-მასწავლებელთა მიერ პროფესიული განვითარების კურსებისა თუ ტრენინგების გავლის მიმართულებით მხარდაჭერა, ასევე, უზრუნველყოს მიღებული მონაცემების აქტიურ პრაქტიკაში ინტეგრირება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

მისასალმებელია უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალისთვის წახალისების მექანიზმების (ერთჯერადი ფულადი ჯილდო, პრემია, ხელფასის დანამატი) არსებობა.

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი აქტივობები ხორციელდება **აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიებში, ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ** ცენტრში. დისტანციური დათვალიერებით დადგინდა, რომ სასწავლო აუდიტორიები არის თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით აღჭურვილი და სათანადო კეთილმოწყობილი. ამასთან, აუდიტორიებსა და ლაბორატორიებში წარმოდგენილია თვალსაჩინოებები, რომლებიც აადვილებს განსახილველი საკითხების ვიზუალურ აღქმას.

ამასთან, ექსპერტებმა დისტანციური დათვალიერებისას **შეამოწმეს ფაკულტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ცენტრები.** გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ცენტრები თუ ლაბორატორიები აღჭურვილია ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.

დათვალიერებისას დადგინდა, რომ უნივერსიტეტში **სასწავლო-კვლევითი გარემო განახლებული და გაუმჯობესებულია.** დაწესებულებას აქვს თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ლიტერატურით **აღჭურვილი საბიბლიოთეკო ფონდი, კომპიუტერული კლასები. ბიბლიოთეკაში ინახება თანამედროვე ლიტერატურა,** რომელიც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სახელმძღვანელოებისა და ელექტრონული ვერსიების სახით. დაწესებულებას **დადებული აქვს მემორანდუმები, რომელთა ფარგლებშიც საჭიროებისამებრ სტუდენტს შეუძლია,** მოითხოვოს ისეთი ნაშრომები, რომელიც ტექნიკურ უნივერსიტეტში ინახება.

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია თანამედროვე საბიბლიოთეკო რესურსით. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა მოაწყო ახალი საბიბლიოთეკო სივრცე, სადაც წარმოდგენილია წიგნადი ფონდი, ინდივიდუალური მუშაობისთვის შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკა, ჯგუფური და წყნარი მუშაობისთვის შესაბამისი სივრცეები. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება აქვთ, დისტანციურად წინასწარ მოიძიონ და დაჯავშნონ მათთვის სასურველი წიგნი.

უნივერსიტეტს აქვს საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებთან წვდომა, პანდემიიდან და დისტანციური სწავლებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტმა სტუდენტებს მისცა,

საშუალება უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ ჰქონდეთ წვდომა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე.

ინტერვიუს დროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ მათ აქვთ მემორანდუმი საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტთან, რომლის ფარგლებშიც უსდ-ს სტუდენტებს წვდომა აქთ ყველა ამ უნივერსიტეტის ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებზე.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლების პროცესისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებებით, აუდიტორიებით, პროექტორებით, ზოგიერთი აუდიტორია აღწურვილია ე.წ. „ჭკვიანი დაფებით". აღსანიშნავია, რომ სტუდენტების გამოკითხვეში, მათი მხრიდან იყო რეკომენდაციები აუდიტორიების უკეთესად მოწესრიგებით და სწავლებისთვის საჭირო თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვის შესახებ. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ მათ ეს მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია და ზოგიერი აუდიტორიის რემონტი ახლაც მიმდინარეობს, უნივერსიტეტმა პანდემიის და შესაბამისად დისტანციური სწავლების პერიოდი გამოიყენა აუდიტორიების რემონტისა და სწავლებისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებებით აღჭურვისთვის.

დისტანციური სწავლებისთვის უსდ იყენებს სწავლის მართვის პროგრამას და Microsoft Teams-ის პლატფორმას.

პროგრამის აკრედიტაციის ჯგუფმა შემთხვევითობის პრინციპით შეარჩია რამდენიმე ძირითადი საგნის სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა და დადასტურდა მათი ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკაში.

სტუდენტებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათ ნაკლებად აქვთ ინფორმაცია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზების შესახებ, სტუდენტებმა ვერ გაიხსენეს რომელიმე საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზის სახლი და აღნიშნეს, რომ ჯერ-ჯერობით არ დასჭირვებიათ მისი გამოყენება.

უნივერსიტეტში დამონტაჟებულია ხელის **დამუშავებისთვის აუცილებელი საშუალებები.** გარდა ამისა, უნივერსიტეტში დამონტაჟებულია შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებისთვის ე.წ. „პანდუსები."

ამდენად, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სასწავლო გარემო მთლიანობაში იძლევა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის სტრუქტურა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://atsu.edu.ge/ ;
- ბიბლიოთეკის დებულება (აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 თებერვლის დადგენილება №158);
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მუდმივად განახლებადი ფონდი;
- სამეცნიერო ბაზები/ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;

- ვიზუალური დათვალიერება;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები;
- გამოკითხვის შედეგები;
- მემორანდუმები/ხელშეკრულებები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- მისასალმებელია საბიბლიოთეკო ფონდის გამოყენების მოქნილი და გამარტივებული პროცედურის არსებობა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ წარმოადგინა პროგრამის ბიუჯეტი, სადაც აღნიშნულია შემოსავლის წყაროები და ხარჯვითი ნაწილის კომპონენტები, განსაზღვრულია ნულოვანი მოგების წერტილი, რომლის მისაღწევად უსდ-ს სულ მცირე ყოველწლიურად 14 აქტიური სტუდენტი სჭირდება. თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში პროგრამაზე მოთხოვნა არასტაბილურია, თუმცა აქტიური სტუდენტების რაოდენობა აჭარბებს ნულოვანი მოგების წერტილს.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა არის სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირებული. ინტერვიუს დროს უსდ-ს ადმინისტრაციამ განაცხადა რომ საჭიროების შემთხვევაში მზად არის უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან მოხდეს პროგრამის დაფინანსება. თუმცა ბიუჯეტში ნათლად არაა ასახული აუცილებელი სწავლების პროცესში აქტივობებისთვის განსაზღვრული ხარჯები, როგორიცაა: პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, შიდა გრანტების, მივლინებების, პროფესიული განვითარების, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებისა და სხვა ხარჯები. ასევე, დაფინანსების ალტერნატიული წყაროებიდან მოზიდვის ხარჯიც არაა შევსებული. აკრედიტაციის ჯგუფი უფრო კვალიფიციურად შეაფასებდა პროგრამის მდგრადობას, სწავლებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ხარჯვითი კომპონენტი რომ ყოფილიყო ასახული პროგრამის ბიუჯეტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის ბიუჯეტი; ○ სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 28 თებერვლის №175 დადგენილება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთების პრინციპების შესახებ“; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ სასურველია, სწავლებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ხარჯვითი კომპონენტი რომ ყოფილიყო ასახული პროგრამის ბიუჯეტში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის შეფასების (თვითშეფასების პროცესი) პერსონალისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ურთიერთთანამშრომლობით წარიმართა. თვითშფასების პროცესი დაიწყო 2018 წლის ივნისის თვიდან, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნადობის დადგენით. ამას მოჰყვა პროგრამის განახლებისა და განვითარების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ასევე, შეიქმნა ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი (თვითშეფასების ჯგუფი) 10 წევრის შემადგენლობით. ხოლო აქტიურ ფაზაში გადავიდა 2020 წლის ოქტომბრის თვიდან, როდესაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა თვითშეფასების ჯგუფი და გადანაწილდა თვითშეფასების ჯგუფის წევრებს შორის აქტივობები და გამოიყო პასუხისმგებელი პირები. ამ პროცესში ჩართული იყვნენ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, ასევე სამაგისრო პროგრამის ერთი სტუდენტი, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის ორი კურსდამთავრებული და ერთი დამსაქმებელი.

პროგრამის ხელმძღვანელი თანამშრომლობდა შესაბამის სამსახურებთან (მაგალითად, უშუალოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთა და ა.შ.), შეფასების შედეგები და შედეგების ანალიზი განიხილებოდა პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ თვითშეფასების ჯგუფის შეხვედრებზე. ამასთან, ამავე შეხვედრებზე მიიღებოდა გადაწყვეტილებები საჭირო ცვლილებების შესახებ. სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის მიხედვით მოხდა თითოეული სასწავლო კურსით მისაღწევი სწავლის შედეგების განსაზღვრა, რის საფუძველზეც პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა შეადგინა სასწავლო კურსის სილაბუსები. პროგრამისა და სილაბუსის შემუშავებული ვერსია წარედგინა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ხოლო სამსახურის შეფასების შემდგომ, საბოლოო ვერსია წარედგინა ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად. ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკცებული ვერსიის ოქმის საფუძველზე ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა დამტკიცდა აკადემიური საბჭოს მიერ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს პრინციპით: დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. ამის განსახორციელებლად უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა ეფუძნება სამ ძირითად პოლიტიკას:

I. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (EP-QA);

II. კვლევის განვითარების პოლიტიკა (RE-QA);

III. მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა (ME-QA);

თავის მხრივ საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (EP-QA) ხორციელდება სამი პროცედურის საშუალებით:

1. საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა;

2. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა;

3. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა.

ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, როგორც მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამა დაექვემდებარა მესამე პროცედურას და შიდა შეფასება წარიმართა სამ ეტაპად:

I. ცვლილებების განსაზღვრა (იდენტიფიცირება);

II. ცვლილებების შემუშავება;

III. ცვლილებების განხილვა და დამტკიცება.

შესაბამისად, უნდა დავასკვნათ, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროცესს იწყებს შეფასებით, ხდება არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოჩენა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ნაბიჯების დაგეგმვა, შემდეგ ეტაპზე ხდება ხარვეზების აღმოსაფხვრელად დაგეგმილი ნაბიჯების გადადგმა, საჭირო ცვლილებების განხორციელება (განახორციელე). სამომავლოდ კი მოხდება განხორციელებული ცვლილებების შედეგებზე დაკვირვება და, შესაბამისად, გამოყენებული მექანიზმების შემოწმება (შეამოწმე) და მიღებული შედეგების მიხედვით გამოყენებულ მექანიზმებთან ან ჩატარებულ ქმედებებთან დაკავშირებით საჭირო ცვლილებების განხორციელება პროცესის დახვეწის მიზნით (განავითარე). აღნიშნული პროცესი ეხება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებულ ყველა სახის საქმიანობას, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას და უწყვეტად მიმდინარეობას.

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესიც ზემოთ

აღნიშნული ეტაპების მიხედვით მიმდინარეობდა, პროგრამა მოცემული სახით განახლდა იგივე ეტაპების დაცვით. მუდმივად ხდებოდა ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის განხორციელების შეფასება პროგრამის განვითარების მიზნით (სტუდენტები მუდმივად აფასებენ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს, სასწავლო კურსებს, ხდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პერსონალის კმაყოფილების კვლევა), ხოლო პროგრამის განახლების მიზნით პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შემუშავებული პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის სამუშაო ვერსია კვლავ შეფასდა ყველა დაინტერესებული მხარის მიერ. მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით მოხდა პროგრამაში სათანადო ცვლილებების განხორციელება და შესაბამისად პროგრამის დახვეწა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ დამსაქმებელთა კვლევის შედეგები; ○ კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები; ○ შიდა შეფასების ანგარიში; ○ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“ (აკადემიური საბჭოს დადგენილება №157; 28.02.1018 წ); ○ აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის №49 (17/18) დადგენილება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის შესახებ“; ○ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიურების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების **განვითარების პოლიტიკის ნაწილად განიხილება გარე შეფასების მექანიზმების გამოყენება**. ამ მიზნით უნივერსიტეტი თანამშრომლობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

პროგრამამ **აკრედიტაცია გაიარა 2012 წელს და ამ პროცესში გამოითქვა რეკომენდაცია იმასთან დაკავშირებით, რომ „კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციის** ხელშეწყობის მიზნით, მომზადდეს რომელიმე სავალდებულო კურსი და წაკითხულ იქნეს უცხო ენაზე.“ ვინაიდან სწავლების პირველ, მეორე და მესამე სემესტრებში სტუდენტებს არჩევით კურსებად შეთავაზებული აქვთ სემესტრში 5 კრედიტის მოცულობით უცხო ენის სწავლება, ჩაითვალა, რომ მათთვის ერთი სასწავლო კურსის უცხო ენაზე ათვისება მიღწევადი იქნებოდა (იხ. საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 26 ივლისის სხდომის ოქმი №8). ეს რეკომენდაცია გაითვალისწინა უნივერსიტეტმა და ამჟამად აკრედიტაციაზე **წარმოდგენილი ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ექვს ინგლისურენოვან სასწავლო კურსს, აქედან სამი კი არის ძირითად სასწავლო კურს**ი.

აქვე საყურადღებოა, რომ უნივერსიტეტმა **წარმოადგინა გარე შეფასების დასკვნა. გარე ექსპერტის მხრიდან გამოთქმულია საინტერესო რჩევები და რეკომენდაციები,** რომელთა სრულად გათვალისწინებაც უდავოდ პროგრამის განვითარებას წაადგებოდა. გარე შეფასების ფარგლებში არსებულ მიგნებათაგან ახლაც პრობლემურია:

(ა) პროგრამაში მიღების წესის ბმულის მითითება (ამჟამად მითითებულია ბმული, რომელიც ეხება არჩევითი, თავისუფალი და აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილ ასათვისებელ სასწავლო კურსებზე სტუდენტთა დარეგისტრირებისა და შესაბამისი სასწავლო ჯგუფების დაკომპლექტებას);

(ბ) პროგრამის შედეგების გაზომვადი ზმნებით გადმოცემა;

(გ) სილაბუსებსა და სტრუქტურაში მითითებულ საათებს შორის წინააღმდეგობრიობა;

(დ) ზოგიერთი სასწავლო კურსის წინაპირობის არსებობა, მაგალითად, სავალდებულო ლიტერატურაში მხოლოდ უცხოენოვანი ნაშრომების მითითებისას წინაპირობად უცხო ენის განსაზღვრა;

(ე) ზოგიერთი სასწავლო კურსის სალექციო მასალა და თემები მეორდება (როგორც ვხედავთ, ეს იგრძნობა სასწავლო კურსების „სამეცნიერო წერა“ და „კვლევის მეთოდოლოგია ეკონომიკაში“ სილაბუსების შინაარსის შედარებისას) და სხვა.

გარდა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებისა, სამაგისტრო საფეხურისთვის პროგრამის ხარისხის ამაღლებას მოემსახურებოდა გარე შემფასებლების (პარტნიორი უნივერსიტეტების გამოხმაურებების, ანალოგი პროგრამების უცხოელი ექსპერტების) შენიშვნებისა და წინადადებების მიღება, მით უფრო, როცა უნივერსიტეტს აქვს სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტთან მემორანდუმები. ასეთი შეფასებები დაეხმარებოდა პროგრამას

განვითარებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა; ○ გარე ექსპერტის შეფასება; ○ თვითშეფასების ანგარიში. ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 თებერვლის N157 დადგენილება „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესახებ“; ○ საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 26 ივლისის სხდომის ოქმი №8; ○ მემორანდუმები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ სასურველია გარე ექსპერტის რეკომენდაციების ეფექტიანად გამოყენება პროგრამის სრულყოფისთვის, ასევე, პროგრამის ხარისხის ამაღლებისთვის გარე შემფასებლების ანალოგი პროგრამების უცხოელი პროფესორების წინადადებებისა და რჩევების მიღება-გათვალისწინება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული **ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, რომლითაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის** შეფასების პროცედურა (დადგენილება №49 (17/18)). მონიტორინგისა და შეფასების პროცედურის მიზანს წარმოადგენს ინფორმაციის მოძიება-შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და შედეგების შესატყვისი რეკომენდაციების ჩამოყალიბება. ფაკულტეტის ხარისხის **უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებელ პროგრამის მონიტორინგის** სხვადასხვა აქტივობის გამოყენებით. მონიტორინგის მიზნით ხორციელდება: ➢ *ძირითადი დაინტერესებული პირების (სტუდენტი, პედაგოგი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვები;* ➢ *პროგრამაში ჩართული პირების (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული) განვითარების ანალიზი;* ➢ *სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;* ➢ *კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი;* ➢ *კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრაციის ანალიზი;* ➢ *მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ანალიზი;* ➢ *ურთიერთდასწრების პროცესის ანალიზი.* ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, **რომ სტუდენტებისა და ლექტორ-მასწავლებელთა გამოკითხვა ხორციელდება ყოველი სემესტრის** ბოლოს, ხოლო დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა - ორ წელიწადში ერთხელ. გამოკითხვების პროცესს ხელმძღვანელობს, ერთი მხრივ, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მეორე მხრივ, პროგრამის ხელმძღვანელი. პროცედურულად ასეა მოწესრიგებული მონიტორინგი: გამოკითხვების ფარგლებში მიღებული მონაცემები გროვდება, შედეგები ანალიზდება და ამის შემდეგ საჭიროებისამებრ გაიცემა რეკომენდაციები როგორც უნივერსიტეტის, ისე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ანალიზის შედეგები მიეწოდება პროგრამის ხელმძღვანელსა და შესაბამის დეპარტამენტს. ისინი უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას პროფესორ-მასწავლებლებისთვის. გამოკითხვებისა და მიღებული მონაცემების ანალიზის მიზანია პროგრამის განვითარება, სასწავლო პროცესის სრულყოფა და სხვა. გარდა ამისა, **საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა ითვალისწინებს ამ პროგრამების შეფასებისათვ**ის, მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის განხორციელებას. ასევე, ამ პროცესში ჩართულია შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაცია. სტუდენტთა აკადემიური მოსწრება ანალიზდება

რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით. მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემები განიხილება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. აღნიშნულის საფუძველზე შესაძლოა, დაიგეგმოს სასწავლო კურსთა სილაბუსებში ცვლილებების განხორციელება სწავლა-სწავლების მეთოდებთან, შეფასების სისტემასა და სასწავლო კურსის შინაარსთან დაკავშირებით. თუმცა დგინდება, რომ აუცილებელია სწავლების მეთოდებისა და შეფასების სისტემის შესახებ სასწავლო კურსების სილაბუსებში მონიტორინგის გაძლიერება.

ასევე, ფაკულტეტის ხარისხის **უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი აწარმოებენ კურსდამთავრებულთა გამოკითხვებს** დასაქმების თაობაზე. ჩანს, რომ უნივერსიტეტს აქვს მემორანდუმები გაფორმებული უცხოურ ორგანიზაციებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. დგინდება ამ მემორანდუმების პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენების მონიტორინგის საჭიროება.

საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული **აქვს „მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა, რომელიც ხორციელდება, ერთი მხრივ, თვითშეფასებისა და ანგარიშგების**, მეორე მხრივ კი, მართვის ეფექტიანობის შეფასების პროცედურის გამოყენებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ **„სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი“, ასევე, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი მოითხოვს ცვლილებებს** კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით. ასევე, ირკვევა, რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებისა და კვლევების აკადემიური სტანდარტების შემოწმების მექანიზმი მოითხოვს მონიტორინგს, დახვეწას (დაწვრილებით იხ. 2.6 კომპონენტი).

ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პანდემიის პირობებში საგანმანათლებლო **დაწესებულება ახალი გამოწვევების წინაშე დადგა და გადავიდა დისტანციურ სწავლებაზე ისეთი პლატფორმების** დახმარებით, როგორიცაა: Microsoft Teams და Moodle. მიმდინარე ეტაპზე სასწავლო პროცესი ეფუძნება ჰიბრიდულ მიდგომას. ფაკულტეტებზე შეიქმნა დახმარების ჯგუფები, რომლებიც აკადემიური ჯგუფების ფორმირებას უწევდა ორგანიზებას. დამზადდა სტუდენტთა დახმარების სპეციალური პორტალი, სადაც სტუდენტს გაეწია ონლაინ კონსულტაცია და ვიდეო-სახელმძღვანელოები სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის. რაც განთავსდა უნივერსიტეტის მიერ შექმნილ დახმარების პორტალებზე - სტუდენტებისათვის www.online.atsu.ge და აკადემიური პერსონალისთვის www.online.atsu.ge/lector/ .

აქვე საგულისხმოა, რომ უნივერსიტეტის რექტორმა გამოსცა ბრძანება **კორონავირუსის შესაძლო გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.** ამ ბრძანებით განისაზღვრა, რომ სწავლა/სწავლების პროცესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება სწავლების დისტანციური, შერეული და ჰიბრიდული ფორმები, რაც 2020 წლის 16 მარტიდან 2020 წლის 1 აპრილამდე საპილოტე რეჟიმში ხორციელდებოდა. როგორც ირკვევა, 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში აკადემიური პერსონალი ატარებს ლექციებს დისტანციურად სხვადასხვა ონლაინპლატფორმის (Microsoft teams, moodle) გამოყენებით, დეკანებს კი დაევალათ აკადემიური ჯგუფების მიხედვით ინფორმაციის მომზადება, სასწავლო პროცესში ჩართული პირებისთვის ინფორმაციის გადაცემა და პასუხისმგებელი პირის გამოყოფა აქტივობების მხარდაჭერის მიზნით. ამასთან, განსაზღვრულია ვიდეოლექციების უნივერსიტეტის ონლაინსივრცეში განთავსების მიზანშეწონილობა,

ხოლო ვიდეოლექციები სტუდენტებს აძლევთ მათი ნებისმიერ დროს ნახვის შესაძლებლობას. უნივერსიტეტში ხდება ჩატარებული ონლაინ- და ვიდეოლექციების ხარისხის მონიტორინგი.

მოგვიანებით გამოიცა **უნივერსიტეტის რექტორის სხვა ბრძანებები იმის თაობაზე, რომ დისტანციური სწავლების გაგრძელებისა** და ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გააგრძელოს დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებული საინფორმაციო ვიდეორგოლების მომზადება, პერსონალის ტექნიკური მხარდაჭერა და ა.შ. თუმცა აქვე საყურადღებოა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი. „პერსონალურ მონაცემებთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, **ონლაინშეხვედრების, ონლაინსწავლების ამსახველი მასალა (ფოტო, ვიდეოგამოსახულება) არის ადამიანის** პერსონალური მონაცემები. ამიტომ პანდემიის პირობებში პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები უნდა აისახოს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების თაობაზე წესში. გასათვალისწინებელია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული სააგენტოს მიერ 2020 წელს შემუშავებული რჩევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ. უნივერსიტეტს სჭირდება დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისა და პანდემიის გამოწვევების სათანადოდ მართვისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N49 (17/18) დადგენილება „მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურის შესახებ“ (პროცედურის კოდი - EP-QA 1.3);
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №49 (17/18) დადგენილება „პროგრამის შეფასების პროცედურის შესახებ“;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი https://atsu.edu.ge/;
- უნივერსიტეტის სტრუქტურა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- სტრატეგიული გეგმა;
- ინტერვიუს ანგარიში;
- უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებები ქვეყანაში კორონავირუსის შესაძლო გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების გატარების, სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში წარმართვისა და ორგანიზებულად განხორციელების შესახებ (2020 წლის 13 მარტის N01-04/21 ბრძანება; 2020 წლის 16 ოქტომბრის N01-04/106 ბრძანება; 2020 წლის 3 აპრილის

N01-04/25 ბრძანება; 2021 წლის 14 სექტემბრის N01-04/72 ბრძანება); ○ მემორანდუმები/ხელშეკრულებები.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია, ყურადღება მიექცეს მონიტორინგის ღონისძიებების პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენებასა და არსებული ნაკლოვანებების, მათ შორის სამაგისტრო კვლევების ფარგლებში ხარისხისა და პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგის შეფასებას, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესისა და სილაბუსის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მექანიზმების დახვეწას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს ელექტრონული სწავლების კონცეფცია და ადმინისტრირების წესი, რომელიც სასწავლო პროცესის სრულ ციკლს ასახავს, შესაბამისი გზამკვლევები და ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის რეკომენდაციები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის	✓			

განვითარების შესაძლებლობები				

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:
ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა, მეორე საფეხური

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 56

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ეკა ლეკაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მურმან კვარაცხელია

დავით ქარცივაძე

მიხეილ ბიჭია

ნინო ტალიკაძე